„ტრავმა-ინფორმირებული მიდგომები ადამიანის უფლებათა დარღვევების კონტექსტში: სახელმწიფო პოლიტიკის შედარებითი ანალიზი“

მარიამ ანთაძე

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი არჩილ აბაშიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ანთაძე, 19 ივნისი, 2025 წელი

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია გააანალიზოს, როგორ აისახება ტრავმაზე ორიენტირებული პრინციპები საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებსა და საჯარო პოლიტიკაში, როგორია ამ მიდგომების პრაქტიკა ნიდერლანდების გამოცდილების ფონზე და რამდენად რეალურია საერთაშორისო პრაქტიკის ადაპტირება საქართველოს კონტექსტში. ნაშრომი ეფუძნება ლიტერატურის მიმოხილვას, თეორიულ ჩარჩოებსა და თვისობრივ კვლევას. კვლევის ფარგლებში ჩატარდა რვა ინტერვიუ და ერთი ფოკუს ჯგუფი საქართველოში – დაზარალებულ პირებთან, სფეროს პროფესიონალებთან და საერთაშორისო ექსპერტებთან, რაც ანალიზის სიღრმისა და შედარებითი ხედვის საშუალებას იძლევა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების ტრავმულ გამოცდილებებსა და იმ სტრუქტურულ სტრესორებს, რომლებიც დაკავშირებულია დისკრიმინაციასთან და საზოგადოებაში გამჯდარ სტიგმატიზაციასთან.

შედარებითი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში არსებული პრაქტიკა და სამართლებრივი ჩარჩოები სრულად ვერ უზრუნველყოფს ტრავმაზე ორიენტირებული პოლიტიკისა და მომსახურების განხორციელებას. ამის საპირისპიროდ, ნიდერლანდების მაგალითი გვთავაზობს ინტეგრირებულ, კოორდინირებულ და ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციაზე დაფუძნებულ მოდელს.

ნაშრომი მოიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს საქართველოში ტრავმა-ინფორმირებული მმართველობის გასაძლიერებლად — მათ შორის: უწყებათაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესება, პროფესიული ტრენინგების სისტემატიზაცია, სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ინტეგრაცია სახელმწიფო სისტემებში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ტრავმა-ინფორმირებული მმართველობა, ადამიანის უფლებები, ფსიქოსოციალური მხარდაჭერა, სექსუალური ძალადობის მსხვერპლები, ნიდერლანდების გამოცდილება, პრაქტიკული გამოცდილება.

Abstract

This master's thesis aims to analyze how trauma-oriented principles are reflected in the structures and policies of the Georgian state, to assess the practical application of these approaches in comparison with the experience of the Netherlands, and to explore the extent to which international practices can be adapted to the Georgian context. The research is based on a review of literature, theoretical frameworks, and qualitative methodology. Within the scope of the study, eight interviews and one focus group were conducted with victims, field professionals, and international experts, providing a solid foundation for in-depth and comparative analysis.

Particular attention is given to the traumatic experiences of women survivors of sexual violence and the structural stressors affecting them, which are closely linked to discrimination, hate speech, and pervasive societal stigmatization.

The comparative analysis reveals that existing practices and legal frameworks in Georgia are insufficient to ensure the effective implementation of trauma-informed policies and services. In contrast, the Dutch model offers an integrated, coordinated, and psychosocial rehabilitation-oriented approach.

The thesis presents specific recommendations for strengthening trauma-informed governance in Georgia's state institutions, including improved interagency coordination, professional training programs, increased service accessibility, and the systemic integration of psychological support within public structures.

Keywords: Trauma-informed governance, human rights, psychosocial support, survivors of sexual violence, Dutch experience, practical experience.

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა ჩემს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, პროფესორ არჩილ აბაშიძეს, რომელიც მიუხედავად დროისა და გარემოებებისა, მუდმივად მაწვდიდა ღირებულ რჩევებს და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იდეების კონცეპტუალურ ჩამოყალიბებასა და კვლევის განვითარების პროცესში. მისი მხარდაჭერა ფასდაუდებელი იყო ამ ნაშრომის შექმნის თითოეულ ეტაპზე.

დიდი მადლობა ჩემს ორგანიზაციას — წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალურ და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრს (GCRT), რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა რესპონდენტებთან დაკავშირება, ინფორმირებული თანხმობის უზრუნველყოფა და კვლევაში მათი მონაწილეობისთვის საჭირო პირობების შექმნა — რაც კვლევის წარმატებით განხორციელების წინაპირობას წარმოადგენდა.

განსაკუთრებული მადლობა ფსიქოთერაპევტებს, ლელა ცისკარიშვილს, მაია ცირამუას და ქეთევან ფილაურს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც კვლევის დაგეგმვის, ისე მისი განხორციელების ეტაპებზე და მეხმარებოდნენ დაზარალებულებთან შეხვედრების ორგანიზებაში.

მადლობა მინდა გადავუხადო ყოფილი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს, ბატონ გოგა ხატიაშვილს, რომელმაც ჩემთვის ხელმიუწვდომელი ინფორმაცია ხელმისაწვდომად და კვლევისთვის გამოსადეგად აქცია.

ასევე მადლობას ვუხდი ნიდერლანდებში მცხოვრებ სასამართლო ექსპერტებს — ვენდი ვეიტსს და მარაიე ვან ვილიგენბურგს — რომლებიც კეთილგანწყობით და პროფესიული მხარდაჭერით შემომიერთდნენ კვლევის პროცესში.

გულწრფელი მადლობა ჩემს ოჯახს და ყველა იმ ადამიანს, ვინც პირდაპირ თუ ირიბად იყო ჩართული კვლევის პროცესში — თქვენი თანადგომა, გამხნევება და საჭირო სიმშვიდის შექმნა ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო.

განსაკუთრებული მადლობა თითოეულ რესპონდენტს (განსაკუთრებით სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალებს, ვინც გამონახა დრო, ენდო კვლევის მიზანს და გულწრფელად გამიზიარა საკუთარი გამოცდილება. მათი სიღრმისეული ჩართულობა, ემოციური სიმამაცე და შინაგანი ძალა იყო ის ენერგია, რომელმაც კვლევას შინაარსი და სიცოცხლე შესძინა.